

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №756

2014 წლის 31 დეკემბერი

ქ.თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის - „მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი - „მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესი

მუხლი 1. მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მეტალის ჯართის რადიაციულ მონიტორინგთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმების სამართლებრივ საფუძველს.
2. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები ვრცელდება შავი და ფერადი მეტალის ჯართზე, რომელიც წარმოადგენს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის საგანს. წესის მოთხოვნები აგრეთვე ვრცელდება მეტალის გადამუშავების ციკლში მოხვედრილ ჯართზე.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანი და ამოცანა

1. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია იმ ღონისძიებების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს მეტალის ჯართით შიდა/საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სასაქონლო ოპერაციების, ასევე მეტალის გადამამუშავებელ მრეწველობასთან და ჯართთან მოპყრობასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებისას რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების ან/და რადიოაქტიური წყაროების არსებობის თავიდან აცილებას.
2. ტექნიკური რეგლამენტის ამოცანაა რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის, ტექნოგენურად დაბინძურებული მეტალის, ასევე მეტალის ჯართში რადიოაქტიური წყაროების აღმოჩენისა და ამგვარ ჯართთან მოპყრობის ღონისძიებების დადგენა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) რადიოაქტიურად დაბინძურებული ჯართი - ჯართი, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ წყაროს ან ნივთიერებას ან დაბინძურებულია ამ ნივთიერებით. აღნიშნული ნივთიერება შესაძლებელია ექვემდებარებოდეს ან არ ექვემდებარებოდეს მარეგულირებელ კონტროლს;
- ბ) ჯართის მიმღები პირი - ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ჯართის მიმღებ პუნქტზე (ან პუნქტებზე);
- გ) ჯართის მიმღები პუნქტი - განსაზღვრული ტერიტორია, სადაც ჯართის მიმღები პირი ახორციელებს საქმიანობას;



დ) მეტალის გადამამუშავებელი პირი - მეტალის გადამამუშავებელი საწარმოს ოპერატორი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ე) მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმების განმახორციელებელი პირი - ბირთვული და რადიაციული საქმიანობის შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მეტალის ჯართის რადიაციულ შემოწმებას საექსპერტო-ინსტრუმენტული გაზომვების მეშვეობით;

ვ) მეტალის ჯართი (ფერადი და შავი ლითონის ჯართი) - გადამამუშავებისათვის ვარგისი, ფერადი ან შავი მეტალის შემცველი საწარმოო ან/და საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რომელიც წარმოიქმნა ამავე დანიშნულების ნაკეთობებისგან, ასევე სხვადასხვა აღჭურვილობიდან, მექანიზმიდან, კონსტრუქციიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან, სამხედრო ტექნიკის კომპონენტებიდან მათი ფუნქციის და დანიშნულების დაკარგვის შედეგად;

ზ) ჯართის დამზადება - საქმიანობა, რომელიც მოიცავს ჯართის შეგროვებას, შექმნას, ტრანსპორტირებას, კონდიცირებას, დროებით განთავსებას (ჯართის მიმღებ პუნქტებზე ან/და მეტალის გადამამუშავებელი საწარმოების ტერიტორიაზე);

თ) ჯართის კონდიცირება - ჯართის მოცულობის შემცირების მიზნით ჯართის დახარისხების, კომპაქტირების, დაპრესვის და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა;

ი) რადიაციის ლოკალური წყარო - ჯართის ცალკეული, მინიმალური მოცულობის გამოცალკეებადი ფრაგმენტი, რომლის ზედაპირზე (არა უმეტეს 10 სმ-ის მანძილზე) გამა-გამოსხივების ეკვივალენტური დოზის სიმძლავრე (ბუნებრივი ფონის გამოკლებით) აღემატება 0.2 მკზვ/სთ-ს;

კ) ეკვივალენტური დოზის სიმძლავრე (ედს) - გამა-გამოსხივების ეკვივალენტური დოზის სიმძლავრე ჯართის ზედაპირზე (არა უმეტეს 10 სმ-ს მანძილზე) ჯართის პარტიის/ფრაგმენტის, ბუნებრივი ფონური მაჩვენებლის გამოკლებით;

ლ) ეკვივალენტური დოზის სიმძლავრის მაქსიმალური მნიშვნელობა (ედმს) - ჯართში არსებული რადიონუკლიდების გამა-გამოსხივების ეკვივალენტური დოზის სიმძლავრის მაქსიმალური მნიშვნელობა ზედაპირზე (არა უმეტეს 10 სმ-ის მანძილზე), ბუნებრივი ფონური მაჩვენებლის გამოკლებით;

მ) მეტალის ჯართის რადიოაქტიური დაბინძურება - ჯართში არსებული რადიაციის ლოკალური წყაროების ზედაპირზე დაფიქსირებული დაბინძურება, სადაც ალფა გამოსხივების ნაკადის სიმკვრივე 0.04α ნაწ./სმ² წმ - ზე მეტია, ან ბეტა - გამოსხივების ნაკადის სიმკვრივე 0.4β ნაწ./სმ² წმ - ზე მეტი;

ნ) ბუნებრივი რადიაციული ფონი - გამა-გამოსხივების დოზის სიმძლავრე, რომელსაც განაპირობებს კოსმიური გამოსხივება, ნიადაგში, წყალში, ატმოსფერულ ჰაერში და ბიოსფეროს სხვა ელემენტებში არსებული ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდები.

მუხლი 4. მეტალის ჯართის საექსპერტო-ინსტრუმენტული შემოწმების განხორციელება

1. მეტალის ჯართში რადიოაქტიური ნივთიერებების არსებობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინსტრუმენტული გაზომვების საშუალებით.
2. რადიაციული შემოწმებისთვის გამოსაყენებელ ყველა გამზომ საშუალებას უნდა ჰქონდეს დაკალიბრების სერტიფიკატი.
3. ჯართის რადიაციულ შემოწმებასთან დაკავშირებული გაზომვების მეთოდი და პროცედურა დგინდება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ით.

მუხლი 5. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის რეაგირებას ჯართში რადიოაქტიურობის აღმოჩენის შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს კონტოლს მეტალის ჯართის რადიოაქტიურ დაბინძურებაზე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტული პროცედურების მეშვეობით, ასევე კომპეტენციის ფარგლებში



ახორციელებს რეაგირებას ჯართის მიმღებ პუნქტებზე და მეტალის გადამამუშავებელი საწარმოების ტერიტორიაზე რადიოაქტიურად დაბინძურებული მეტალის ჯართის აღმოჩენის შემთხვევაში.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მეტალის ჯართის იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის და რეექსპორტის საბაჟო კონტროლის პროცედურებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №62 - ვებგვერდი, 15.02.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 მაისის დადგენილება №224 - ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 6. მეტალის ჯართში რადიოაქტიური დაბინძურების ან რადიოაქტიური წყაროს აღმოჩენისა და რეაგირების პროცედურა

1. იმ შემთხვევაში, თუ ჯართის მიმღებ პუნქტზე ჯართის ჩაბარებისას ჯართის მიმღებ პირს გაუჩნდა ეჭვი რადიოაქტიური ნივთიერების არსებობაზე, ვალდებულია, უზრუნველყოს საექვო საგნის (საგნების) იზოლირება, შეზღუდოს პერსონალისა და უცხო პირთა წვდომა და შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – 112-ს ან/და სააგენტოს.

2. მეტალის გადამამუშავებელი პირი ვალდებულია, შეამოწმოს ჯართში რადიოაქტიურობის არსებობა ჯართის გადამამუშავების პროცედურის დაწყებამდე. მეტალის ჯართის პარტიის ფორმირებისას, ასევე მეტალის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური დაბინძურების ან ჯართში რადიოაქტიური წყაროს აღმოჩენის შემთხვევაში, ექსპორტიორი, ჯართის მიმღები, მეტალის გადამამუშავებელი ან მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმების განმახორციელებელი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ უსაფრთხო პერიმეტრი გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრის მიხედვით, არაუმეტეს 0.1 მზვ/სთ მნიშვნელობით, ამ პერიმეტრიდან პერსონალის და სხვა პირების მოცილება არანაკლებ 50 მეტრის მანძილით და შეატყობინონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – 112-ს ან/და სააგენტოს.

3. საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე მეტალის ჯართში რადიოაქტიური დაბინძურების ან რადიოაქტიური წყაროს აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია მეტალის ჯართიდან გამოცალკევებული რადიოაქტიური ფრაგმენტების ან/და რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხო პერიმეტრის დაცვაზე, რადიოაქტიურად დაბინძურებული ჯართის პარტიის, მისი ფრაგმენტების ან/და რადიოაქტიური წყაროების ფიზიკურ დაცვაზე და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ქმედებების განხორციელებაზე.

5. სააგენტო ახორციელებს პირველად რადიოლოგიურ შეფასებას, კოორდინაციას უწევს ადგილზე სახელმწიფო უწყებების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მოქმედებებს, ზედამხედველობას უწევს მეტალის ჯართიდან რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული ფრაგმენტების ან/და ჯართში აღმოჩენილი რადიოაქტიური წყაროების გამოცალკევებას და საჭიროების შემთხვევაში, მათ უსაფრთხო განთავსებას შესაბამის კონტეინერში.

6. სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ჯართში აღმოჩენილი რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული ადამიანების, ტექნიკური მოწყობილობებისა და საგნების დეკონტამინაციას. ასევე, სააგენტოსთან თანამშრომლობით მონაწილეობს დაბინძურებული ჯართის ფრაგმენტების ან/და რადიოაქტიური წყაროები გადაზიდვაში უსაფრთხო განთავსების ადგილამდე, საჭიროების მიხედვით.

7. საჭიროების შემთხვევაში მეტალის ჯართის რადიოაქტიური ფრაგმენტები ან/და მეტალის ჯართიდან გამოცალკევებული რადიოაქტიური წყაროები შესაძლოა განთავსდეს დროებით, ჯართის მიმღები პუნქტის ან ჯართის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, სპეციალურად მოწყობილ სათავსებში ან გამოყოფილ ტერიტორიებზე.

8. მეტალის ჯართის რადიოაქტიური ფრაგმენტები ან/და მეტალის ჯართიდან გამოცალკევებული რადიოაქტიური წყაროების დროებითი განთავსების სათავსოების გარე ზედაპირზე, გამა-გამოსხივების



სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 0.1მკვ/სთ-ს, ამგვარი ფრაგმენტების ან/და რადიოაქტიური წყაროების შესაბამისი შეფუთვით უზრუნველყოფის შემთხვევაში. ამდაგვარი შეფუთვის არარსებობის შემთხვევაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უსაფრთხოების პერიმეტრი არა უმეტეს 0.1 მკვ/სთ გამოსხივების დოზის სიმძლავრის მნიშვნელობით, ასევე პერსონალის და სხვა პირების მოცილება უსაფრთხოების პერიმეტრიდან არანაკლებ 50 მეტრი მანძილით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №62 - ვებგვერდი, 15.02.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 მაისის დადგენილება №224 - ვებგვერდი, 14.05.2018წ.



მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმების პროცედურის მეთოდика

მუხლი 1. პრაქტიკული გამოყენების სფერო

ჯართის დამზადების დროს მასში შესაძლებელია რადიაციის შემდეგი ლოკალური წყაროების მოხვედრა:

ა) სკალები, ტუმბლერები და მათი ნაწილები, რომლებიც დაფარულია ^{226}Ra -ის შემცველი ლუმინოფორით, ასევე დონეთამზომების, სიმკვრივის გამზომი ხელსაწყოების, დეფექტოსკოპების, გაყინვის საწინააღმდეგო სისტემის, კვამლის დეტექტორებისა და სხვა მოწყობილობების ნაწილები, რომლებიც შეიცავენ რადიოაქტიურ წყაროებს;

ბ) რადიონუკლიდებით დაბინძურებული სატრანსპორტო და დამცავი კონტეინერები, რომლებიც განკუთვნილია ისეთი წყაროების გადასაზიდად, როგორცაა ^{60}Co , ^{90}Sr , ^{137}Cs , ^{170}Tm , ^{192}Ir , ^{239}Pu , ^{241}Am და სხვა;

გ) გაზისა და ნავთობის მოპოვებისას ბუნებრივი რადიონუკლიდების დალექვით გამოწვეული ზედაპირული რადიოაქტიური დაბინძურების მქონე მიწები და ტექნოლოგიური აღჭურვილობა, აგრეთვე არტეზიული ჭაბურღილებით წყლის მიღების შედეგად დაბინძურებული მიწები;

დ) მეტალის ნაკეთობები რადიონუკლიდების მომატებული ხვედრითი აქტივობით, რომელთა დაბინძურება განპირობებულია გადადნობის დროს მასში რადიოაქტიური ნივთიერებების მოხვედრით;

ე) გადარიბებული ურანით დამზადებული რადიოაქტიური წყაროების დამცავი კონტეინერების მოხვედრით მეტალის ჯართში.

მუხლი 2. მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმება

ჯართის მოცულობიდან გამომდინარე, რადიაციული შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ავტომატური პორტალური სტაციონარული საშუალებების, ასევე რადიაციის გამზომი გადასატანი ხელსაწყოების გამოყენებით. სტაციონარული რადიაციული პორტალური მონიტორის ოპერირება ხორციელდება ამ მონიტორის მწარმოებლის მიერ დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რადიაციული შემოწმების პროცედურა ვრცელდება მხოლოდ რადიაციის გამზომი გადასატანი ხელსაწყოების გამოყენებით ჩატარებულ მეტალის ჯართის რადიაციულ მონიტორინგზე. მეტალის ჯართის რადიოაქტიური შემოწმების პროცედურა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) შესამოწმებელი მოედნის რადიაციული ფონური მნიშვნელობის დადგენა:

რადიაციული შემოწმება ხორციელდება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე. მოედანი უნდა შეირჩეს წინასწარ, მაქსიმალურად დაბალი ბუნებრივი რადიაციული ფონური მაჩვენებლის მიხედვით (არა უმეტეს 0,2 მკვ/სთ). რადიაციული ფონი იზომება გამოყოფილი მოედნის ცენტრში. ხელსაწყოს დეტექტორი გაზომვისას გაწვდილი ხელით ფიქსირდება შესამოწმებელი მოედნის ზედაპირიდან 1 მ სიმაღლეზე. გაზომვის მნიშვნელობა უნდა აკმაყოფილებდეს სტატისტიკურ ცდომილებას 5-10%-ით. მოედნისთვის დგინდება შემდეგი პარამეტრები:

ა.ა) კონკრეტული რადიომეტრისათვის ფონური ჩვენების საშუალო მაჩვენებელი:

$$N_{\text{ფ}} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n N_{\text{ფ}i} \quad (1)$$

სადაც: n - გაზომვების რიცხვი;

$N_{\text{ფ}i}$ - რადიომეტრის ჩვენება ფონის რიგით მე-i გაზომვისათვის;

ა.ბ) საშუალო კვადრატული გადახრა $S^2_{\text{ფ}}$ - საშუალო გაზომვების მნიშვნელობიდან:

$$S^2_{\text{ფ}} = \frac{1}{n(n-1)} \sum_{i=1}^n (N_{\text{ფ}i} - N_{\text{ფ}})^2 \quad (2);$$

ა.გ) ხელსაწყოს ფონური ჩვენების ($\Delta_{\text{ფ}}$) შესამოწმებელ მოედანზე 5-10 განმეორებითი გაზომვისათვის შეფასდება ფორმულით:

$$\Delta_{\text{ფ}} \approx 2 \times S_{\text{ფ}} \quad (3);$$

ა.დ) რადიაციული კონტროლის შედეგების შეფასებისას, მიღებულ იქნება N_0 - საკონტროლო დონეს არჩეული მოედნისათვის შემდგომი გაზომვების შესაფასებლად:

$$N_0 = N_{\text{ფ}} + \Delta_{\text{ფ}} \quad (4);$$

ბ) ჯართის რადიაციული შემოწმება:

ბ.ა) მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმება წარმოებს გამა-გამოსხივების დოზის სიმძლავრის განსაზღვრით;

ბ.ბ) მეტალის ჯართის რადიაციული შემოწმების განხორციელებისთვის საჭირო ხელსაწყოების მინიმალურ ნაკრებს შეადგენს რადიომეტრი და დოზიმეტრი. ასევე, აუცილებელია ხელსაწყოს გააჩნდეს ნეიტრონების ნაკადის დეტექციის საშუალება. რადიოაქტიური დაბინძურების აღმოჩენის მიზნით ხელსაწყოების გაზომვის ქვედა ზღვარი α გამოსხივებისათვის უნდა იყოს არა უმეტეს $0,02 \text{ სმ}^{-2}\text{წმ}^{-1}$ -სა და β გამოსხივებისათვის უნდა იყოს არა უმეტეს $0,2 \text{ სმ}^{-2}\text{წმ}^{-1}$ -სა;

ბ.გ) შესამოწმებელ მოედანზე ჯართი უნდა გაიშალოს თანაბრად, შეძლებისდაგვარად თხელ ფენად. გაზომვები უნდა ჩატარდეს ჯართის ზედაპირიდან არა უმეტეს 10 სმ დისტანციაზე. გამზომი ხელსაწყოს დეტექტორს თანმიმდევრობით გადაადგილებენ არჩეული მიმართულებების წარმოსახვითი წირების გასწვრივ, არა უმეტეს 0,2 მ/წმ სიჩქარით, შესამოწმებელი ჯართის ზედაპირიდან 10 სმ მანძილზე;

ბ.დ) ისრიანი რადიომეტრების გამოყენებისას ჩვენების აღება და მისი შედარება საკონტროლო დონესთან N_0 წარმოებს უწყვეტად, ციფრული რადიომეტრებისათვის კი - ყოველ 0,5 მ მანძილზე;

ბ.ე) რადიაციული ფონის საკონტროლო მნიშვნელობის $0,1 \text{ მკზვ/სთ}$ -ით გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს 5-10 გაზომვა. ზემოაღნიშნულ დონეზე მეტი რადიოაქტივობის დაფიქსირების შემთხვევაში გაზომვები გრძელდება გამოსხივების მაჩვენებლების დეტალურ დაზუსტებამდე და რადიოაქტიური გამოსხივების წარმომქმნელი რადიაციის ლოკალური წყაროს გამოცალკევებამდე;

ბ.ვ) ძებნის რეჟიმში ხელსაწყოს დამაჯერებელი ხმოვანი სიგნალისას უნდა შეწყდეს გადაადგილება და გულმოდგინედ შემოწმდეს ჯართის ნაწილი. მიმდებარე ნაწილების სკანირებისას, ჯართში სიცარიელების გამოყენებით, ხდება დეტექტორის მაქსიმალური მიახლოება ლოკალური წყაროს სავარაუდო ადგილისაკენ, ხმოვანი სიგნალის სიხშირის მომატების მიმართულებით. ჯართის ფენაზე მოინიშნება საკონტროლო დონის გადაჭარბების ზონა, დაიტანება მასშტაბურ სქემაზე და დაფიქსირდება ოქმში. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ჯართში არსებული სიცარიელები გაზომვების დისტანციის მაქსიმალურად შემცირების, ასევე ჯართის ნაწილების მიერ შესაძლო რადიოაქტიური დაბინძურების ან რადიოაქტიური წყაროს ეკრანირების თავიდან აცილების მიზნით. ალფა, ბეტა და ნეიტრონულ გამოსხივების რადიონუკლიდებზე შემოწმება ტარდება შესაბამისი დეტექტორების გამოყენებით;

ბ.ზ) მეტალის ჯართში საკონტროლო დონის გადაჭარბების ზონის (ზონების) აღმოჩენისას, ამ ზონების მაქსიმალური ჩვენების წერტილებში იზომება ედს-ის მაჩვენებლები ჯართში ლოკალური რადიოაქტიური წყაროს (წყაროების) არსებობის დადგენის მიზნით;

ბ.თ) ედს-ის გაზომვა წარმოებს გამა-დოზიმეტრებით. დოზიმეტრის დეტექტორი მოთავსდება მაქსიმალური გამოსხივების წერტილში და ტარდება 7-10 გაზომვა ან გაზომვა წარმოებს იქამდე, სანამ სტატისტიკური ცდომილება არ იქნება 5-10%. ედს-ის მნიშვნელობად მიიღება საკონტროლო წერტილში და ფონური გაზომვების შედეგების სხვაობა.

$$\text{ედს} = H_{\text{ს}} - H_{\text{ფ}} \quad (5)$$

ედს-ის ჯამური ცდომილება - Δ განისაზღვრება თითოეული დოზიმეტრისათვის ცალ-ცალკე;

ბ.ი) თუ ყველა წერტილში გაზომვისათვის სრულდება პირობა:

ედს $+ \Delta < 0,1$ მკზვ/სთ (6)

ჩათვლება რომ ჯართი არ შეიცავს რადიაციის ლოკალურ წყაროებს;

ბ.კ) თუ „ბ.ი“ ქვეპუნქტში მოყვანილი პირობა არ სრულდება ცდომილების დიდი მნიშვნელობის გამო, უნდა ჩატარდეს დამატებითი გაზომვები ნაკლები ჯამური ცდომილებით (ნაკლები ცდომილების დოზიმეტრების გამოყენებით, განმეორებითი გაზომვების ჩატარებით ან მონიტორინგის დროის გაზრდით);

ბ.ლ) პირობა (6) შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯართი ითვლება რადიაციის ლოკალური წყაროების შემცველად და ექვემდებარება დამატებით რადიაციულ შემოწმებას ამდაგვარი წყაროს (წყაროების) გამოცალკევების მიზნით;

ბ.მ) იმ შემთხვევაში, თუ მეტალის ჯართში ლოკალური წყაროების მოძიებისას აღმოჩნდა საკონტროლო დონის გადაჭარბებული ზონები, ყოველი ზონისათვის გამოსხივების მაქსიმუმის წერტილში დამატებით უნდა ჩატარდეს α და β ნაწილაკებით დაბინძურების, ასევე ნეიტრონული გამოსხივების ნაკადის კონტროლი.

ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს α , β და ნეიტრონული გამოსხივების ნაკადის სიმკვრივის გამზომი ხელსაწყოები, რომლებსაც გააჩნიათ ამ სიდიდეების გაზომვის ქვედა ზღვარი არა უმეტეს: $0,02$ სმ⁻²წმ⁻¹ – α და β გამოსხივებისათვის;

ბ.ნ) თუ მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგი დააკმაყოფილებს პირობას:

$$\Phi_{\alpha} + \Delta_{\alpha} < 0,04 \text{ სმ}^{-2}\text{წმ}^{-1}$$

$$\Phi_{\beta} + \Delta_{\beta} < 0,4 \text{ სმ}^{-2}\text{წმ}^{-1}$$

ხოლო ნეიტრონების ნაკადი არ დაფიქსირდება, ჯართის შემოწმებული პარტია ითვლება რადიოაქტიური დაბინძურების არმქონე პარტიად;

ბ.ო) გაზომვის შედეგები, ფონის საშუალო მნიშვნელობები, ცდომილება და საკონტროლო დონის მნიშვნელობა უნდა იქნეს შეტანილი რადიაციული შემოწმების შესაბამის აქტში;

ბ.პ) სატრანსპორტო საშუალების ძარაზე ან კონტეინერში ჩატვირთული ჯართი ექვემდებარება რადიაციული შემოწმების განმეორებით ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ძარაზე (კონტეინერში) ჩატვირთვამდე ამ ჯართის შემოწმებისას დაფიქსირდა შესამოწმებელი მოედნის რადიაციული ფონური მაჩვენებლის გადაჭარბება (თუმცა ედს არ აღემატება $0,1$ მკზვ/სთ-ს);

ბ.ჟ) ჯართის განმეორებითი რადიაციული შემოწმების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ჯართის შემოწმების დროს, მაშინ როდესაც ის არ შეიცავს რადიონუკლიდებს, გაზომილი სიდიდეები ყოველთვის ფონურ მაჩვენებლებზე ნაკლებია, რადგან ადგილი აქვს გრუნტის (გასაზომი მოედანი) ფონური გამოსხივების შესუსტებას მისი მეტალის ფენით ნაწილობრივ ეკრანირების ხარჯზე. ამიტომ შესამოწმებელი მოედნის რადიაციული ფონური მაჩვენებლის გადაჭარბების მიზეზი შესაძლოა იყოს ჯართში რადიონუკლიდების არსებობა. შესამოწმებელი მოედნის ფონურ მაჩვენებელზე ზემოთ საკონტროლო დონის $0,1$ მკზვ/სთ-მდე ედს-ის მომატების მიზეზის გადასამოწმებლად საჭიროა ჩატარდეს გაზომვები ჯართის $1-2$ მ სისქის სქელი ფენისათვის, ეს პირობა კი შესრულდება ჯართით დატვირთული სატრანსპორტო საშუალების შემოწმებით;

ბ.რ) განმეორებითი რადიაციული შემოწმების გაზომვები ტარდება სატრანსპორტო საშუალების ძარის, ან მასზე განთავსებული კონტეინერის ირგვლივ, გარე ზედაპირების გასწვრივ, გრუნტის პარალელურ სიბრტყეში. სიბრტყეებს შორის მანძილი უნდა იყოს არა უმეტეს $0,5$ მ და სატრანსპორტო საშუალების ძარის (კონტეინერის) ზედაპირიდან 10 სმ მანძილზე. გაზომვის დროს რადიომეტრის დეტექტორი უნდა გადაადგილდეს არა უმეტეს $0,2$ მ/წმ სიჩქარით;

ბ.ს) განმეორებითი რადიაციული საკონტროლო დონეებია: ედმს-ის $0,1$ მკზვ/სთ მნიშვნელობის გადაჭარბება; α აქტიური რადიონუკლიდებით ზედაპირული დაბინძურების აღბათობა (α ნაწილაკების ნაკადის სიმკვრივე მეტია $0,04$ ნაწილაკი/სმ⁻²წმ⁻¹); β აქტიური

რადიონუკლიდებით დაბინძურების ალბათობა (β ნაწილაკების ნაკადის სიმკვრივე მეტია $0,4$ ნაწილაკი/სმ²წმ⁻¹);

ბ.ტ) სატრანსპორტო საშუალების ძარაზე (კონტეინერზე) საკონტროლო დონეების გადაჭარბების შემთხვევაში მონიშნება შესაბამისი ზონები და გაგრძელდება ქმედებები ჯართის დაბინძურებული ნაწილების ან რადიაციის სხვა ლოკალური წყაროს (წყაროების) გამოცალკევების მიზნით, უკვე დატვირთულ ჯართში (თუ შესაძლებელია) ან ჯართის გადმოტვირთვით და დეტალური შემოწმებით, წინამდებარე მეთოდის შესაბამისად;

ბ.უ) თუ დატვირთული მეტალის ჯართის განმეორებითი შეფასებისას არ დაფიქსირდა საკონტროლო დონეების გადაჭარბება, ჯართი ჩაითვლება რადიოაქტიურად უსაფრთხოდ;

გ) მეტალის ჯართის რადიაციული კონტროლი პორტალური მონიტორის განგაშის შემთხვევაში:

გ.ა) პორტალური მონიტორის განგაშის შემთხვევაში მეტალის ჯართით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო კონტეინერი უნდა მოთავსდეს საკონტროლო მოედანზე და ჩაუტარდეს რადიაციული კონტროლი. გაზომვები წარმოებს სატრანსპორტო საშუალების ირგვლივ, გარე ზედაპირზე გრუნტის პარალელურ სიბრტყეებში. სიბრტყეებს შორის მანძილი უნდა იყოს არა უმეტეს $0,5$ მ და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირიდან 10 სმ მანძილზე. გაზომვის დროს რადიომეტრის დეტექტორი უნდა გადაადგილდეს არა უმეტეს $0,2$ მ/წმ სიჩქარით;

გ.ბ) საკონტროლო დონეების გადაჭარბების შემთხვევაში უნდა ეცნობოს შესაბამის უწყებებს ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და უნდა ჩატარდეს მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგი ამ მეთოდის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.